

ბერა, 4 დეკემბერი 1916 წ.

რედაქციის პდროცი:
თფილიშვილი, თლიან ქუჩა, № 6.

— ვალ 15 პაბ. —

გერმანიკ აზორტაშაბ № 49

იუმორისგ.
უურნალი.

№ 49

ხახელ სახმოს ღონისძიება, თე კაცი მომიმნიშვნა



შეკვეთი. ეს რა აშშავია სახულების დათვის დაცვა?

ქ. ჩეჩიშვილი. ახალი აშშავია. პროგრესიულია ბელისტა ბელისტა და მარიამ მელიქების და რომ თავისი სიცუვა არ ა მაინც მოიყვინოს სისტულეში ეს ეშვერული ხერხი მოიგონა.

ჩემი პალტოს ცსტორი

არ შეიძლება ითქვას, ვითომც ჩემი პალტო, რომელიც აბანოდან დაბრუნების შემდეგ აი იმ ლურსმანზე ჩამოვკიდე, მაინც და მაინც დიდი ღირსების საქონელი ყოფილიყოს. ის იარმუკაში ვიყიდე. მართალია მაღაზის პატრონში იგი 46 მანეთად დამიფასა, (კაპეკები აღარ მახსოვს) მაგრამ საათ ნახევრის ვაჭრობისა და რამდენიმეჯერ შებრუნვა-მობრუნების შემდეგ 16 მანეთად დამითმო.

მაგრამ ეს ომის დაწყებამდე იყო და ახლა სულ ცოტა 7—8 თუმანი მაინც ელირებოდა!

მახსოვს, დეკემბრის სუსხიანი სალამო იყო, როცა ჩემი პალტო აი იმ ლურსმანზე მივაკიდე. შემოვედი თაბაში, სავარცლისთვის ჯიბეში ხელი ჩავიყავ, მაგრამ მომავრნდა რომ იგი პალტოს გულის ჯიბეში ჩამრჩა და ისევ გავბრუნდი დერეფანში.

ჩემი სავარცხელი არც იქ აღმოჩნდა, არ აღმოჩნდა ვინაიდან ვიღაც არამაღალას თვით ჩემი შავი პალტოც მოეპარა.

საშინლათ ავდელდი.

— როგორ! განა შეიძლება ასეთი სითავედე და სიურცხვე? დაუკითხავათ შემოღიხარ ჩემს სახლში, იპარავ პალტოსა და მიღიხარ? განა შაიძლება აღა-მიანის ზნეობრივი ღირსება ამ დონეზე ჩამოქვეითდეს? არა, არა, მე ამას ვერავის ვერ ვაპატიებ.. მე უთუოდ ვიპოვი ქურდა და ღირსეულათ დავაჯე-ენებ მთავრობას...

სიმნევესა და ენერგიას ის გარემოება უფრო მმატებდა, რომ პალტოს ჯიბეში სავარცხელი იყო და კარგათ მახსოვს სავარცხელს თხო დიდი კბილი აკლდა თავიდან. ეს კარგი ნიშნი იყო. მე მყისევ დავწერე თხოვნა და მივართვი პოლიციის სამართვე-ლოს, რათა ყველა უბნის ბოჭაულთათვის ეცნობე-ბიათ ეგ სამწუხარო ამბავი და საჭირო ზომები მი-ელოთ დაკარგული ნივთის აღმოსაჩენათ. სამართვე-ლოში, როგორც მოსალოდნელი იყო, თანაგრძნო-ბით შეხვდენ ჩემს გასაჭირს და ყოველგვარი დამა-რება აღმითქვეს.

აღბათ ამ გრძნობიერი მიღებითა და დახმარე-

ბის აღთქმით აიხსნება, რომ იმ ღამეს ისე მშეიდათ მემინა, თითქმ ჩემს თვახში არაფერი მომხდარიყოს.

დღე-დღეზე მოველოდი პოლიციელის ხელით ამა თუ იმ უბნიდან ჩემი პალტოს დაბრუნებას. არ უნდა დავივიწყოთ ის გარმოებაც, რომ ჩემი თაღა-რიგი მარტო პოლიციაში გამოცხადებით არ დამთავ-რებულა. მე მყისევ მივმართე ჩევნს პრესას და რა-მოდენიმე გაზეთში ერთსა და იმავე დროს გამოვიდა ჩემი მოწოდება:

„გუშინ 9 დეკემბერს (1914 წ.) ჩემი სახ-ლის დერეფანში დამეკარგა შავი მაულის პალტო. პალტოს ჯიბეში არის ერთი ცხვირსახოცი და ძველი ბილეთი ტრამ-ვაისა. მპოვნელს უმორჩილესათა ვსთხოვ პალტო დამიბრუნოს ამ აღრესზე“...

აშკარაა, აღნიშნული ზომების შემდეგ სრული საბუთი მქონდა გულდამშვიდებით მეცადა მომავლი-სათვის. მე ერთნაირი რწმენა და პატივისცემა მი-ღვივის გულში, როგორც ბეჭედითი საჭმის, აგრე-სოვე პოლიციის მოღვაწეობისადმი.

არც მოგსტუცვდი. არ გასულა ვ დღე, სახელ-დობრ 1914 წლის 12 დეკემბერს მეშვიდე უბნის ბოჭაულმა დამიბარა თავის კანცელარიაში, საღაც მიჩვენეს ახალი საზამთრო პალტო. სამწუხაროთ ის ჩემი არ გამოდგა. არც ფერი ჰქონდა ჩემი პალტო-ისა, არც ზომა და თავი და თავი, არც სავარცხე-ლი აღმოჩნდა გულის ჯიბეში. ბოჭაულს მაღლობა ვუთხარი, პოლიციელს გასამრჯელო ვაჩუქე და მხი-არული სახლში დაბრუნდი. მიხაროდა, რომ პო-ლიცია ასე ზრუნავდა ჩემთვის.

9 დღის შემდეგ, სახელდობრ 21 დეკემბერს, ღამის 10 საათზე, ჩემი ოთახის კარები კვლავ და-კაკუნა პოლიციელმა:

-- გთხოვთ გაისარჯოთ და ეახლოთ მე XI უ-ნის ბოჭაულს, ძლიერ საჭირო საქმეზე.

მე არ მიყვარს პოლიციის შეკინება. თუმცა წვიმდა, საზიზლარი ტალახი იდგა, ეტლი არ იშო-ვებოდა და ხუთიოდ ვერსი გზა მქონდა გასავლელი, მაგრამ მყის ტანთ ჩავიცვი და წავედო.

ბოჭაული ეჭვიანი კაცი გამოდგა. ჯერ გამომ-კითხა ჩემი პალტოს ნიშნები, ხოლო შემდგომად ამი-სა, მიჩვენა ახლად ნაპოვნი საზაფხულო პალტო. სამ-წუხაროთ არც ის აღმოჩნდა ჩემი და ხელცარიელ დაბრუნდი სახლში.

ის ის იყო, 1915 წლის 3 იანვარს, ნათლი მას მისას ქეთიდან დაებრუნდი. ჩემი ახალი პალტო გავიხადე, ბალიშს ქვეშ ამოვიდე და დასაწოლათ გავემზადე. კარების კაუნი მომესმა. ყურადღება არ მივაკიშ. ხმაურობამ იმატა, და ბოლოს ტრალიკული ხასიათი მიიღო. მე ბარბაცით წამოვდექ და კარტბი გავალე.

— თქვენ ბრძანდებით ბ-ნი რ—ი?

— დიახ, მე გახლავარ.

— გთხოვთ ტანთ ჩაიცვათ და გამოვყენო, მჟოთხე უბნის ბოქაული დაუყონებლივ გიხმობთ.

ჩავიცვი. წავედი. მივედი. ბოქაულმა გამომკითხა ჩემი პალტოს დაკარგვის ისტორია. მეც უამბე, რამდენათაც მახსოვდა.

— ესეი ვისტე გაქვთ?

— გინც მომპარა აი იმაზე.

— მაშ იცით ვინ მოგპარა?

— ქურდმა და ავაზაქა, მე ამაში ღრმათ დარწმუნებული ვარ. არცერთი პატიოსანი კაცი...

— შე გეყითხებით პირადათ თუ იცნობთ...

— უკარიავთ, მე ქურდებს არ ვი...

ბოქაულმა წარბი შეიკრა და ჩემს წინ საგრძნობლათ გამუნებული შალის პალტო გაშალა.

— სცნობთ თქვენად?

მე ყოველ შემთხვევაში გულის ჯიბე გავსინჯე, ხოლო რაღანაც შიგ სავარცხელი არ აღმოჩნდა გადჭრით გუთხარი:

— არა, ეგ ჩემი არ არის.

— მაშ თქვენ თავისუფალი ხართ.

მეც თავისუფლათ ამოვისუნთქე და დიდის გაპირებით ბინაზე დავბრუნდი.

2 თებერვალს ჩენი უბნის ბოქაულმა მიმიწვია. იმასაც ვახსელი. ღიპლომატიური შეკითხვა-გამოკითხვის შემდეგ მოხელემ გამოიტანა მაუდის ჩოხა შავი რქის მასრებით.

— ვგონებ თქვენი ჩოხაც შავი იყო, ხომ ვერა სცნობთ თქვენად?

— არა, ბატონ! მე ჩოხა არასოდეს არა ცუმია. მე პალტო მომპარეს, თქვენ აღბათ ავერითა.

— სცდებით, ჩენ არასოდეს არაფერი აგვერევა თუ კი თქვენ თითონ არ არით. მე როგორც მახსოვს თქვენ ჩოხის დაკარგვას აცხადებიდით.

— არა, არა.

— არა, არა... მაშ ჩენ ვსტუით თქვენის აზრით?

— არც მიფიქრია... თქვენ აღბათ შეგცდათ.

— გთხოვთ თქვენს შეცდომას სხვას ნუ ახვევთ თავზე. პირდაპირ შეუწყნარებელი საქციელია, ჰკარგავთ და რა დაპარეგეთ არ იცით. იმედია შემდეგში უმიზებულ იღარ შეგვაწუხებთ.

— არასოდეს, ბატონ ჩემო!

სწრაფად გამოვედი ოთახიდან და დავსწუყებულე ის დღე, როცა მე ჩემი შავი პალტო დაკარგვე. გავიღდა თებერვალი. ჩემი პალტო თითქმის გადამავიწყდა.

1 პარტს პივრელი უბედურობა მოხდა ჩემს ცხოვრებაში,— მე დავბადე. რასაკვირეველია ამ 1915 წლის პირველ მარტს არ მოვლენილვარ წუთისოფელს, მაგრამ იმ შორეულ შემთხვევის აღსანიშნავათ მოვიწვიე ჩემი ახლო მეგობრები სამასლა-ათოთ და დროს გასატარებლათ.

ტკბილს ჸუკპუში ვიყავით, როცა კარები შემოიღო და მოულოდნელათ პოლიციელი შემოიღიდა. ზოგიერთ ჩემს სტუმარს თავზარი დაეცა. მიკითხეს და ცალკე გამიხმეს მე.

— თქვენ პირველი უბნის ბოქაული გიბარებთ.

— რასთვეს?

— რა მოგახსენოთ. გთხოვთ ნუ გვაგვიანებთ.

— მოითმინეთ ცოტა, ახლავ გეხსელებით.

დროებით გამოვეთხოვე სტუმრებს და წავედი. ჩემი სახლიდა ბოქაულისნ კანცელარიამდე საათ ნახევრის გზა. ვინაიდნ ვერც ეტლი და ვერც ტრამვაიში აღვილი ვერ ვიშოვეთ ფეხით მოგვიწია სიარული და რასაკვირეველია დაგვიგვიანდა.

— ახირებულია სწორეთ თქვენი არა თავაზიანობა, — შესვლისთანავე მომახალა ბოქაულმა — თქვენს საკუთარ საქმეზე გიბარებთ და მაინც ამდენ ხანს აღმოდინებთ ადამიანს.

— ბოლიშს ვიხდი, მაგრამ ფეხით მომიწია წამოსვლა.

— ეგ ჩემთვის სულერთია. მე მაინც მალოდინეთ... შარშან დეკემბერში თქვენ დაგიკარგვათ პალტო, ხომ ეგრე იყო?

— დიახ, მართალია.

— პალტო შავი ფერისა ყოფილა.

— დიახ, დიახ.

— ი ინგერი, გასინჯეთ თქვენი პალტო ეს ხომ არ არის?

— არა, ბატონ, ჩემს პალტოს კრაველის

საყელო არაჰქონია. უბრალო იყო.

— როგორ თუ უბრალო?

— ისე... უბრალო...

— სირცხვილია სწორეთ, თუ უბრალო რამისათვის ამდენს გვაწვალებთ. თავისუფალი ბრძანდებით.

მეც მაღლობა გადაუხადე, ეტლი ვიშვე და სახლში დავბრუნდი. იქ სტუმართაგან არავინ აღარ დამხვედრია. ყველას ჰერიტენილა, რომ მე დამატყვევს და ეს ამბავი ჩემს ნაცნობებში უმაღლ გავრცელებულიყო. ვინ იცის რა და რა მიზეზი დაჭრისა არ გამოენახათ. ზოგი თურქე ამბობდა:

— თვის იჯარა ჰქონდა აღებული და იქ რა- დაც არა ჩაუდენია.

მეორენი ფურჩულობდენ:

— თვის პირწმინდათ არის გამოსული, მაგრამ ტყლაპის შესახებ ჩაუკიდიათ ხელით.

ზოგ ზოგი ამტკიცებდა;

— ცხადია გავეგძ „სპირიდონის“ გადატანის ხრიკები და მახეში მოიმწყვდიდეს.

ბევრი ამასც კი ამბობდა:

— სასურსათო საქმის მოჭახრაკებაში იღებდა მონაწილეობას, დიდაძლი ფული ასწაპნა და როგორც მოსალოდნელი იყო ორივე ფეხებით გაეხაო.

მეორე დღეს ყველა ჩემი მეგობარი გაკვირვებული და შეწუხებული იყო... ჩემი ისე მაღა განთავისუფლებით.

გავიდა მარტი, აპრილი, მაისი. 6 ივნისს რამდენიმე თვით სააგარაკო წავედი. ჩინებულათ მოვწყვე და პირველი კვირის დამლევს სასწორმა ჩემი ორგანიზმის უჩვეულო წირმატება აღნიშნა. ერთი კვირის განმავლობაში 6 გირვანქა ნომერატა წონაში. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მე ვანგარიშობდი: კვირაში თუ ხუთ ხუთი გირვანქა ვიმატე ირ თვე ნახევარს უკვე ერთი ფუთი მექნება სათა-დარიგოთ შემონახული მეთქი. მაგრამ ხომ მოგცხ-სენებათ: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა“.

14 ივნისს, დილის 10 საათზე, ჩემს აგარაქე გამოცხადდა მამასახლისი და გადმომცა ბრძანება: დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყავ ქალაქში მეოცე უბნის ბოჭაულთან. მამასახლისს უნდოდა ჩემი ეტაპით გამოგზავნა, მაგრამ გამომიჩნდენ თავდები და ნება მომცეს პირველი მატარებლით წამოსულიყავ.

ბოჭაულმა მისაყველურა საქმის მიტოვება და

სააგარაკო წასვლა. შემდეგ წამიკითხა მიწერილობა ჩემი პალტის შესახებ და დასასრული მიჩენა პა- გონ აყრილი, აფიცრის რუხი შინელი.

— ფერი თუმცა რუხია, მაგრამ მაინც შეგიძლიათ დაათვალიეროთ, ყოველ შემთხვევაში მე ვალ- დებული ვარ თქვენ არ დაგიშალოთ თუ კი რამ აღმოჩნდება.

— გმაღლობა ყურადღებისთვის, მაგრამ ეს სამხედრო ფორმის საცელია, ჩემსას სრულებით არა ჰგავს.

— რა გაფრინდა, იქნებ შემდეგში აღმოჩნდეს, იმედი ვიქონიოთ.

მე მეორე დღესვე დავბრუნდი უკან. ამ მგაზა- რიბაში, გარეშე 25 მანეთი ფულისა, 11 გირვანქა წონაშიაც დავკარგე და მთელი ზაფხული ძველ საზ- ღრებში ჩემი სიმძიმის აღდგენს მოვანდომე.

მე აზრათ არა მაქეს ჩემი მწუხარება თქვენ მო- გახვით თავს და ამიტომაც ვრცლად არ მოვიყენ მთელს ისტორიას ჩემი პალტოსას.

16 ოქტომბერს მე კვლავ დამიბარეს მე XIV უბანში, ხოლო 29 დეკემბერს XVI უბნის ბოჭაულ- თან და ამგვარათ გადმოვედით 1916 წ. რაიონში.

უკანასკნელი წლის 12 იანვრის საღამო მე XIII საპოლიციო უბანში გავატარე და ერთგულად გაფ- სინჯე ვიღაც მასწავლებლის მოწითალო პალტო, რომლის ჯიბეში აღმოჩნდა პატარა უბის წიგნაკი რაღაც საარაკო ნიშნებით.

21 ოქტომბერს ვეახელ მე XXII უბნის ზედამხე- დველს, ხოლო 7 აპრის იმავე ნაწილის ბოჭაულს.

18 აგვისტოს საჩქაროთ მიმიწვია XXX ნაწი- ლის ბოჭაულმა, მაგრამ რაღაც გზაში შემავინდა აღარ დამიცადა და მეორედ მისვლა დამჭირდა.

დასასრულ, 27 ნოემბერს ვინახულ მეტეო- ნაწილის უფროსი და გავინჯე შავი მაუდისაგან შე- კერილი ქალის პალტო. ზედამხედველმა მისაყველუ- რა განცხადებაში გაურკვევლათ აღნიშნა.

-- საკირაო განმარტება პალტო კაცისა თუ ქალის; ეს რომ ჩაგეწერათ ამდენ ხათაბალას აეშორ- დებოდიო.

ახლა დღე დღეზე ველი ბრძანებას ამა თუ ის ნაწილიდან. როცა გაზეთში განცხადებას ვკითხუ- ლობ: ესა და ეს ნივთი დამეკარგაო, ტანში ქრის- ტელი მივლის. მეშინია ბოლიციამ ქურდი არ და- კიროს, ნაპარავი საქონელი არ წართვის და გასა- სიჯათ მე არ გაშიწვიოს.

ს ა მ ე გ რ ე ლ ი ტ

ა მ ე გ რ ე ლ ი ტ

ადარ შახსოფი, წელიჭადი
შეთრება თუ მესამე,
რაც ცა ჩემთვის გადაშევა
და სიცოცხლეს განვესალმე.

დღის სინათლე ჩამებულა,
იგი სხვისთვის მოყვაშე...
გზიერ შარტოდ, უნუგეშო,
გტირი, ცრქმდით დავინაშე.

ამ ეთვაში მიდის, ხლოშე,
მოგლი დღე და მთელი დაშე,
სისვდილიც არ მეტარბა,
ისიც ვედარ მთვიქრთაშე.

შეგძლე ებ სოფელი,
ადარა მძრაშის შისი რამე.
დამიძიმდა ებ სიცოცხლე
გატანჯები, — გაჭმე, გაჭმე!!!
გხედავ სრულად დამეხორა
ნაცხობი და შეგობარი.
არც მჟავს სულით ნათესავი, —
განმეშორა, მითხრა ვარი.

სასოფებ წარ შეგვეცა, —
გზიერ ასეჭროცხალ შეგდარი;
სულიც ადარ განმეშორა, —
ტანჯელი და განაშარი,
თუმცა და დაგურებე
წასაკულელად იმას კარი.

შეიძუსერა გრძნობა სეგდით, —
— გრძნობა ბროლის შესადარი.

გადიკლიტა გულის უკრი
იქ სიცოცხლე ადარ არი.

უდმობელათ ამოსუნქა
გულმა სეგდის ნიადგარი,
და წალუბა ებ სიცოცხლე,
რაღა შეჭია!! მეტდარი, მეტდარი!!

ალ. ბჟირგაძე

პარტენი ეშმაკო! რამ მოგაძულა ეს ჩვენი ქვეყანა, რათ არ აქცევ ხანდისხან ყურადღებას, რისთვის არ ჩამოიკლი ხოლმე დრო გამოშევებით? შარშან კახეთი მიმოიარე, სხვა ადგილებიც მიმოვლილი გაქვს და ამ ჩვენ „სამარგალომ“ რაღა დააშავა? შეიძლება ჩვენი ხანჯლიანი ხალხის გეშინია?. მაგრამ შეგემატათ მისი ხანი და ნეტარხსენებული სარდიონ ფალავა კი განესვენა აგრე სამი წელიწადი... მეტი ვისი უნდა გეშინოდეს? ასე მიტოვება ჩვენი კოლხეთის ერთ-ერთი კუთხისა — სახელდ სადადიანოსი — ყოვლათ შეუძლებელია. შეიძლება ფიქრობ, სამეგრელოს არაუერი აწუხებსა? ეგ შემცოთარი აზრი იქნება. ჯერ 1905 წელშიც პავლე აკობია ამტკიცებდა სამერელოს გასაჭირს, „პერტე“ და „გახუც“ უმტკიცებდენ გლეხებს, თავის „საპარგანდო“ სიტყვებით, რომ «სამარგალოსაც» ის უნდა, რაც გურიასო. მას შემდეგ, ხომ იცი, ჩვენო ეშმაკო, სამეგრელომ დიდი ნაბიჯი გადადგა... მაშასადმე ამ მოსაზრებითაც სამეგრელო ლირისა ყურადღებისა! არის კიდევ ერთი მთვარი მოსაზრება — სტრატეგიული საზღვრის მოხაზულობა. ჩვენი ერის სიამაყე, დიდი თევდორე ლლონტი, სტრატეგიულ — ტერიტორიალურ მოხაზულობას ინდოეთის ოკეანესაკენ ეძებს და იქითა ადგილებსაც იერთებს და თქვენ კი საქართველოს განუყრელ ნაწილს „სადადიანოს“ თქვენი საბრძანებლის გარეშე სტოებთ. ეს, მგონი არ მოგეტვებათ.

ამიტომ ჯიმა პერტე, ჯიმა ლირმიტი, ჯიმა განუ, ჯიმა კოჩაიე, ჯიმა ბახვა, ჯიმა უტუიე და სხვათა დავალებით პროტესტს გიკანდებთ, დაუყონებლივ მოვითხოვთ თქვენგან შემდეგს: 1) დაარსდეს სამეგრელოს ერთ-ერთ ცენტრში თქვენი საუწყებათა შორისო ბიურო; 2) მიეცეს თქვენს საბრძანებელ დაწესებულებაში სამეგრელოსაც ხმა; 3) მოგვეცეს ჩვენც უფლება ვატაროთ თქვენს სამხედრო სახელოსნოში დამზადებული მათრახები; 4) მოგვეცეს სრული უფლება ვაშათრახოთ ჩვენთვის ურჩი ხალხი; 5) მოგვეცეს უფლება შევადგინოთ ჩვენი რაზმი და ავტონომიურ დამოკიდებულობაში ვიყოთ თქვენს საბრძანებელოან. ეს უკანასკელი მით უფრო საჭიროა, რომ შეიძლება მომავალ საქა-

რთველოს სახელმწიფოში ვ. ლოლუას რაზმა ავტონომია მოითხოვოს სამეცნიელოსათვის, ჩვენ ნიადაგი წინასწარ უნდა გვქონდეს მზათ.. თედო სახოკია კი არ შემცარა 1905 წელს, როცა მან ფოთში მეცნიელთა უტუს რაზმი შეადგინა. მოვითხოვთ ამ ხუთი მუხლის დაუყონებლივ დაკავყოფილებას, დაკავყოფილებისას კი გვაღებათ ჩვენსკენ გამოსეირნება. მანამდე თქვენი მათრახებით ურჩ მტრებს გვგონებ წელში გავსტეხთ.

ვინაიდან თქვენ, პარტენი ეშმაკო, ჩვენს მხარეს ნაკლებათ იცნობთ და რომ დაინტერესდეთ მისი საქსებით შესწავლით, მოვალეთ ვრაცხთ ჩვენს თვეს გაგაცნოთ „სამარგალოს“ შინაგანი ცხოვრება.

სამარგალო ისეთივე სამთავრო იყო, როგორც აწ განსვენებული მთაშვეთი. მთავრობდენ ძველათ დადიანები. დადიანები უაღრეს ნიჭით დაჯილდებული მთავრები ყოფილან. მათი დანასტიის სიტყვიერი ისტორია გადმოგვცემს, რომ თურმე ერთ-ერთი მათგანი, აგრე მეცხრამეტე საუკუნეში ბილანეთის სახელმწიფოს მეფეთაც კი მიუწვევათ. მაგრამ მას, როგორც იგივე ისტორია გადმოგვცემს, უარი უთქვაშს მეფობაზე სხვა და სხვა მოსაზრებით, სხვათა შორის, ბალკანეთის აწეშილ-დაწეშილი საქმები ჰქონია ნათლად გათვალისწინებული. მართლაც მისი წინასწარი გრძნობა ამ მეცხე საუკუნეში საქსებით გამართლდა. ბალკანეთი თანამედროვე ომის მიზეზი შეიქნა. მაშინ ხომ სამარგალო და მისი მთავარი შეიქნებოდა პასუხმდებელი მომავალ კაცობრიობის წინაშე. ასცდა „სამარგალო“ საჯაყ საქმე...

დღეს კი თანამედროვე მსოფლიო მშმა არც სამარგალოში ჩაიარა უმნიშვნელოთ. საერთო ომის ფეხულში ესეც ჩაერთა.

და ფარ-

ხმალი მანაც აიხსა. დღეს „სამარგალოს“ გაწვრთნილი ჯარი სამ ფრონტზე იბრძვის: ნაწილი ჯარისა კავკასიის ფრონტზე, მეორე ნაწილი აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზზე, მესამე ნაწილი კი შიდა-ნარე ტებურ-აბაშა—ხორის წყდის ხეობებში. აյგ ბრძო-

ლა სერიოზულია და ჩვენს ჯარს დიდ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან აქვს საქმე. გამოჩნდენ გენერლების ქაჯაია—გამეჩავას, გვასალია— გელენავას არ-მიების რაზმები. მოწინააღმდეგე ძლიერია. ჩვენი ჯარი განსაკლდელშია, მშვიდობიანი მცხოვრებლები გამორჩიან. ბევრი ქალაქები დასცალა ჩვენმა ჯარმა, მცხოვრებთა ევაუცია გაცხარებით სწარმოებს. ხალხი გამორჩის ცენტრალურ ქალაქებში. სენაკში დიდ ძალი ლტოლვილია, ქუჩები სავსეა, დუქნებში და სახლებში ტევა არ არი. მრავალი გადმოხვეწილი უთავ-შესაფაროთაა. ისინი ბრძოლის ასპარეზის დიდ საშინელ სურათს გადმოგვცემენ. მოწინააღმდეგეთა ჯარი არავითარ საშუალებას არ ერიდება. სადაც კი შესულან ყოველ უძრავ-მოძრავი ქონების რეკვიზიტია მოუხდენიათ. პირუტყვება ერთიანათ წარეკეს თურმე, მძველათ ბავშვები და ქალთა სქესი მოუთხოვიათ. ცოტა რამ ღირებულობის ნიეთი, ნიფხავი და მისი ამხანაგიც კი არავის შეარჩინეს თურმე. ზედმეტი სახლები გადაუბუღავთ. გაამეფეს სამხედრო საველე სასამართლო. ოცდა ოთხ საათში საქმე მორჩიმილია. ვინმე თუ რამე დაიჩურჩულა და შეურაცყო ძლევა მოსილ ჯირის ღირსება, მაშინავე მისი საქმე გათავდა, გამოიწირა. ერთის სიტყვით, ძლევა მოსილი ყაჩაღეთის ჯარი დიდ სისასტიკეს იჩენს. აშეარათ არღვევს საერთაშორისო უფლების სამართალს. საჭიროა ამზე მეზობელ ნეიტრალურ სახელმწიფოებმა ხმა ამოიღონ და პროტესტი გამოუტავონ. გადმოხვეწილებისათვის კი საჭიროა ფიცელი ზომები. ეს პირველი მოვალეობაა სენაკისა და ზუგდიდის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებათა განყოფილებებისა. აქედან მაინც გადადგნ ამ დაწესებულებებმა თავის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯი. ეხლა მაინც არ დაწმუნდება ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ. ი. ჩიქოვანი, რომ ჩვენს ქვეყანაში გადმოხვეწილებს აქვს ადგილი?..

მაგრამ არის იმედი, რომ საბოლოოთ ჩვენი ჯარი გაიმარჯვებს. ჩვენს შორის დგება ახალი ძლიერ საგრძნობი რაზმი ჯამალეგი-სა და ამხანაგებისაგან. მაშინ სრული იმედია, ყაჩაღეთის ჯარს ბოლო მოეღება. მხოლოთ მეზობელ სახელმწიფოების იდეური დახმარება მაინც საჭიროა. აბა ვნახოთ, რას გვეტყვის ჩინი ჯგირი მოჯგირე გურია?..

პირველი მხარე მოხსენებისა ამით გავათავოთ,
პარტენ ეშტაკი. დანარჩენს შემდეგ გიამბობთ გასა-
ჭირი და სალხინო, სადარდო და სასაცილო ჩვენც
ბევრი გვაქვს.

ჯიშა კოჩი.

ზღაპარი

(ხალხური)

ერთმა ტლუ ფრთხია
სადღაც მოჭერა უური:
წელიწადში ერთ წუთს,
მოდისო დასტური,
და იმ წაშმი გინც კა
რაშე მოინატრებს;
ღმერთი მიანიჭებს
და შით გაახარებს...
დაფიქტდა ფაჭარი
და ეს მოუგადა;
სთქა: — მოდი „რისკს“ გავწევ,
ფული შოტა მიძა.
ბიჭს დავიქარავებ,
ვინმე ტეტიასა;
მოუშენებ დიდ დოდეს,
ცოტას მივცემ ფსევა.
დე, იძახს შედამ:
— იქეც თქოს ფულათ.
თხ, რომ იქცეს მართლაც,
გიცხოვრებ შეფურთა!
ასედაც მოიქცა;
ბიჭი გამონასა,
მოუკენა დოდეს და,
სულ ისე აძახა.
გავიდა ღროჲანი,
გადასცილდა წელი,
მაგრამ არ შესრულდა,
მისი საწადელი.
ბიჭსაც მოეწეონა;
სთქა: — რად შექმეც ჭირათ?
თავი მომაბეზრე,
დე, იქეცი გირათ,
და მეის ჯოდი იგი
გარად გაისასა,
წამოდგა და ჭინგი

თვისი შემოსახა,
რა გაიგო ესა,
მოგრძა ფრთხი...
ბიჭს დანძძების და კრულვის
ჯუჯნა ქარი.


წეულო თრ ფეხო,
ბრიულ და ტეტია
რათ დამდუშე შლეგო,
ნაგვის ხელია!
„ოქროს ფულათ იქცეც“,
კიდევ ერთხელ — გეოქება,
შემდეგ თაგში გერტება
ეს, ვირი და ეს ქვა.
როკოკო.

ქრონიკა

◆ თფილის ქალაქს დაბრუნდა ქ. შ. ტ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლათა მეთვალყურე ბ-ნი გრ. ჩურჩულაძე. ბ-ნ ბურჩულაძეს დაუთვალიერებია ბაქოს სკოლა. ბ-ნ ბურჯულაძეს აგრეთვე დაუთვალიერებია კავკაცის სკოლა. იმავე ბ-ნ გრ. ჭურბულაძეს დაუთვალიერებია ნალჩიკის სკოლა. შემდგომად ყოველივე ამისა პატივცემულ გრ. ბურჯულაძეს უნახავს გერგეთის სკოლაც. შემდეგ კი ბ-ნი ჩურჯულაძე ჩამობრძანებულა ქ. ტფილის „(სახალხო ფურცელი“).

◆ ვიღაც არამზადმ ტრამვაის ვაგონზე ჯიბი-დან ამიმაცალა საფულე, რომელშიაც იყო დოკუმენტები და ფულათ 121 მანეთი. უმორჩილესად ვსთხოვ მოვნელს, დოკუმენტები თითონ დაიტოვოს და ფულები საფულეთი (ნასუქარია) დამიბრუნოს. მიიღებს აგრეთვე გასმრჯელოს“. ტფილის სპირიდონის ქუჩა. № 17. ბინა ივანე დოკულაცია-შვილისა“. („სახალხო ფურცელი“).

◆ საბოლოოთ გამოირევა, რომ სათანადო გამგეობა იჯარითა სკეტში „სახალხო სახლის“ კულისებში ასესებულ სამიკიწინო დუქანს. შესასვლელი ეზოდან ექნება. დუქანში შეიძლება ყოველგვარი მაგარი სამელის გაყიდვა, გარდა წმინდა „სპირიდონისა“. ამასთანავე სასტიკით აკრძალული იქნება ყალიონისა ან ჩიბუხის მოწევა. მსურველებმა დაბურული წერილით უნდა გამოგზავნონ თავისი პირობები, სადაც ჯერ არს. „საქართველო“



ჩვენი მცხოვრებსა,
„ბუზ მევობრებსა“,
ბინა რომ უყდართ
მყუდრო და „თფილი“—
დაწახვა ამის
განლავო ადგილი.



როს აცივდება
 იმა ბინაზე,
 სადა ილენდენ
 გუშინ წინაზე,
 ფრთხებს აწყობენ
 და გაშერებიან...
 ზოგჯერ კიდევაც
 გვენატრებიან.

პატარა ამგები

ოსმალის სიმიზი

გასული თვის 13, გულის ამჩუყებელი ამბავი მოხდა ქალთა საეპარქიო სასწავლებელში. ამ დღეს თავის ძეირფას მასწავლებელს და ინსპექტორს კ. კეკელიძეს, რომელიც დანიშნულია თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორათ, გამოეთხოვა აღნიშნული ზემორე სასწავლებელი. ამის გამო გაჲ. „საქართველოში“ ვკითხულობთ:

„წირეისა და პარაკლისის შემდეგ ძეირფას ნაინსპექტორალს „მრავალ-უამიერ“ უგალობეს და შემდეგ მოწაფეებმა სიტყვებით მიმართეს. ყველა სიტყვაში ღრმა ნაღველი გამოიხატებოდა, ყველანი გულის ტკივილით აღნიშნავდენ მომენტის სიმიზეს.“

ორივე სქესი ქართლოსიანთა მოდგმისა ცნობილია განუზომელის გულჩვილობით, მაგრამ „მომენტის სიმიზე“ მაინც უნდა გაიზომოს რითმე. ნეტარ ხსნებული ჩვენი სოლომონ ზურგიელიძე თუ ცოცხალი ყოფილიყო უთუოდ გაიმეორებდა თავის ისტორიულ აფორიზმს:

„ის იწონიდა სიმიზეს დიდა
სულ რომ ცოტა ვსთქვათ გირვანქ სტერლინგსა.“.

„მიმიჩდეთ და ჰპოვათ“.

ქართველმა საზოგადოებამ ჩვეულებრივის ზეიმით იდლესასწაულა მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებილან 100 წლის შესრულების დღე. სხვათა შორის განსვენებული მგოსნის ხსოვნას ჩვეულებრივ ღრმა შინაარსიანი წერილი მიუძღვნა ჩვენგმა კრიტიკოსმა იოსებ არამათიელმა უურნალ „თეატრ-სა და ცხოვრებაში“. წერილი ასე თავდებოდა:

„და დიდს წინაპარს რომ ღირსეული მეკვიდრე არ გაუჩნდეს არ გვჯერა: შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც გაჩნდება და ეს იქნება იმ საქართველოში, რომელსაც შეტროვდა მგოსნის ობოლი სული სოლომონ მსჯულის ბაგით...“

ვეცალნეთ, რომ ეს წამი მალე გვლირსებოდეს...“

და აი, წინასწარმეტყველური ლალადი ჩვენი ცნობილი კრიტიკოსია თითქო მყისვე დაგვირგვინდა. „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორს ზემო აღნიშნული წერილისათვის მიუყოლებია ლექსი, რომელიც ხორცს ასამს ბ-ნი იოსებ არამათიელის ნატერას. აი ის ლექსიც:

„ნ. გარათაშვილის საოცნება!

შენ არ მოგვდარხა, დროებით შესწყვიტე გულის ძერანი; დალუმდა მხოლოდ, მგოსანო, უმხედროთ შენი მერანი!.. არ კვდება, თავზე დაგვყვირის წყეული შავი ყორანი,— უმხედროთ დალუმებულა, მგოსანო, შენი მერანი! თავს დაგვტრიალებს ტიალი შავი ყორანი ვერანი,— უმხედროდ მოწყენილია, ნიკოლოზ შენი მერანი!

გასო როინაშვილი.

საქმე იმაშია, რომ უკანასკნელი ორი კუპლი შეიძლება დაუსრულებლათ გაგრძელდეს და მფრინავი ტომები გამოვიდეს პოემისა; აი ასე:

„ნეტავ რას ფრინავს ტიალი ყორანი შავის ფერანი, ფრუტუნებს უმხედრობისგან ნიკოჭან შენი მერანი... რისთვის არ კვდება არ ვიცა ეგ უსინდისო ყორანი... რა რიგათ დალერემილია მგოსანო შენი მერანი... და სხვა და სხვა...“

მორიცდი.



„ოჯახური სელიან“^{*)}

(გუდონი ჭიათურის ინტელიგენტთა ერთ ჯგუფი).

სცენა I მოქმედებათ

თ თ მ შ ი დ ი ბ ი რ ი ნ ი :

ავთანდილ პიკნიკაძე	
დარეჯან, ამისი ცოლი	
კირილე	
განიჩა	
გასო	
კოლია	
კოწია	
სოლომონი	
ნინო	
ელენე	

ფაცია, და სხვა მრავა.
ლი ქალი და კაცი.

ავთანდილის
სტუმრები.

ვასილა ავთანდილის მოსამსახურენი.

(სცენა ჭარბაზე ავთანდილის სადარბაზო თავსი, სადაც სხედას თრ ჯგუფად გაუთავინი: ქალი და ქაცი თრ სტოლთან. ერთ სტოლზე თამაშებინ ღორცის, სთლდ შეთრეზე ფრაჩს. ფრაჩის ახდისას იმის სტება; ფრაჩ, ვისტ, ჰამაგუ, ტერნი, ამთ, კვალერნო და სხ.)

კირილე. (ადგება და ქალებთან გადასცვის აქირებს, მაგრამ ვაჟები ეჭირებან ქალთაზე და არ უშეებენ) გამიშვით, ბოშო, გამიშვით, კუდი არ მომაგლიჯოთ, თქვე წყეულებო?

ხები. არ შეიძლება, არ გაგიშვებთ!

კირილე. (იწეს) აპა, თქვენ ნუ მომიკვდებით ბულბულებს დავტოვებ და ყვავებში დავტრები.

ქალები. არ გვინდა, არ გვინდა!

კირილე. ბოშო, არ გვინდა იძახით და თვალებს ქე მიპაკუნებთ, რავაა აგი?

ქალები. უჟ, ღმერთო მოგვალი! რას ლაპას რაკობ, შე სასიკვდილე შენა! (დაქსევიან ქალები კირილეს და ანჯლრევენ).

კირილე. იმე, ნუ მომკალით ბოშო, ყველას გეყოფით საარმიყოდ, ჭირებით იყოს, ოჩერედით. არც ერთს არ გაწყენიებთ... (ამ სიტყვების შემდეგ უფრო ანჯლრევენ კირილეს. დადი სიცილი და

*) ეს სცენა ქლების გასსნამდე სწარმოების. ქლების შედეგს შემდეგ მოგასხენებთ.

ხმაურთბაა. ქალები სჩემერენ კირილეს. კირილე სტის და უირის). ხორცი ნუ დამაგლიჯეთ, ბოშო! ოჩერებით იყოს, ოჩერებით. (ძალათ მიურის ქალებს აქეთ იქთ და დაჯდება მათ სტოლთან).

დარეჯანი. კირილე კეკვიანათ იყავი, თორევ ეხლავე აგაგდებ მაინდან.

კირილე. კი ბატონო, ამაგდე და შენთან დამჯინე თუ რამე დავაშვი.

დარეჯანი. ჩემთან დაჯდომა კბილებს დაგაურის.

ვასილა. (სამზარეულოში მიშვალი გაჩერდება ქარებთან და უურს უგდებს, თავისთვის) ეე, შეიქნა ხდარხვალი! ი კირილე ყვიჩილიერით რომ არ შორდება ამ ქალებს, ნეტა რავა წოუვა ბოლო ვიოდე.

ნინო. კარგი, კირილე, გეყოფა ხუმრიბა, (დარეჯანს) დარეჯან, ამოილე ნომრები. იყბედოს მაგან არა უშავს რა ჩევნი ძალლია.

ვასილა. (თავისთვის) ძალლია და ქეც გაგრავს კბილს ისტე ვასილას ჭინდეს შველა მითომ მასრიათ ქე იღებენ კირილეს, მარა ამ ქალებს ქე კი უსობს ზევით ქვევით ხელებს და რა ვიცი. (თავის ქნევით გადის).

დარეჯან. (იბებს ნომრების) პედესეტ პეტ, დისირ...

კირილე. აჲ, დღისით რავა შემიძლიან! არში ყობა ღამე უნდა, ბოშო, ღამე.

დარეჯანი. (დოტოს კოჭების ჰარეს თავში და არტების კირილეს) გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ... შეუბუღენს, შემდეგ ისეგ განაგრძობს ნომრების ამოდებას) „ტუდი-სუდი“.

კირილე. რავა, ტუდი-სუდიო? ცელოვა ზოლი?

ხმა. (მეორი სტოლიდან, სადაც პრეს თამაშობენ ასმის) მომოვა.

კირილე. არაფერი პამაგაიტი არ მინდა. უშენოთაც კარგათ ჩაგპროშტავ ყველას. (ქალები ჭარტის კირილებს დაუშენენ კირილეს, ესევან და ჰებლუჭენ).

ხმა. ფასი.

კირილე. ფასი, აპა დოუთვლი ასიანებს! (ქალები სცენები კირილეს. კირილე სტის. დიდი სიცილია. შერე დაშოშინდებან და ისევ თამაშობენ).

ვასილა. (ვასილა და ადათა წამ და უწევ შედიან

და გადას. განმეოს თადარიგში არიან. გასილა რა და-
სახეც კირილეს და ქალების ბლდარქების ადათის უკრძა-
ნულებულებს) ე, ყოველ დღე ასეთი ქირჩიმალია. შენ
ჯერე ახალი ხარ, და არ იცი, გარა მალე გეიგებ
აგნის ამბავს. ისტე კვირა არ გავა რამე ერთი
ორჯენ მიინც არ დაგვესხენ თავს აი დიდყაცობა.
მოელან მარა სანამ თავზედ არ დაათვინდებათ სულ
რომ მოქნეული ღვლები ურტყა კანკებში, მიინც
არ მოგვილდებიან. რომ დეიწყებენ აი ქალები აშ-
ჩუქურთულ რუსულს, ჩემი არ იყვეს, ყურთა სმე-
ნა წალებულია. აი კირილე რაფარც მამალი ინდო-
ური, ისტე დავარტატებს ამ ქალებში. გააქვს და
გააქვს ლელო. ქრძები ქე უყურებენ, მარა ნინიაო!
ა, ახლა გათენებამდის იძახებენ ამ რაცხა ხრაპიათ,
თუ ხაპით და ურტყამენ და ურტყამენ კარტებს
ერთი მეორეს. კარტს გაათავევენ და დეიწყება
ვახშაში. შერე ტოლიბაში ვისაც გოლოულოცაქს
იქინე იქნება სლედური ვახშაში, წულების კოწია
გაპარულაძესას ტოლიბაშს ჩემი ხაზეინიზავ გოლუ-
ლოცია და დღეს აქანეა კოტრიალი. სმები:
ორაპი.

გასილა. მაგრ ხაპი დაგიყენებთ ოქვენ თვალებს. ჩვენ კიდო არაფერი. სიარულში და მუშაობაში ჯე მაინც არ დავვეძინება, მარა რომ შეიყრინონ თავს კუხნაში სტუმრების გოგო ბიჭები და მოყვაბი. 5 ხერინვას გეგონება დუხოი მუზიკა.

ალათია. გაჩუქრდი, ბერი, ვასილია, არ გეიგონ.

ვასილა. წმის ჯავრი ნუ გაქვს შენ. ხანდიხან
ისტო კობტათ დეიჭყებენ ხელუტუნს და ისტო ლა-
მაზათ ააჭყობენ ხმას, რომე მარჯვე ბიჭი ლეკურ-
საც ქე ჩამოუარს. ან და რა ქნან. წსედან გათე
ნებაშლის. უცდიან მის ხაზენებს და ჩეგძინებათ
აპა რა მოუგათ!

ଦାର୍ଶନିକ. (ସଙ୍ଗେଷୀ ଓ ପ୍ରତିକାଳୀନ ପ୍ରାଚୀନ ଜ୍ୟୋତିଶ୍ଵରଙ୍କିରଣରେ)
ଦିନକ, ହାତ ପୁଣିପୁଣ୍ୟତଥିଲା? ଗାନ୍ଧୀ ଦାଗାଦୀର୍ଥିପଦ୍ମା ରାମା
କ୍ରମିତମର୍ଯ୍ୟରେ ଏକାନନ୍ଦ ହିତ୍ୟନ୍ତାମାତ୍ର ହାତମି ସାମ୍ବେଶ ଏବଂ ଶ୍ରୀ
ମହାଦେବ?

გასილა. სტუმრები თვარა პირველი ნუმერაა
მაღანის სტუმრობა.

დარეგანი. ნუ ლაპარაკობ! წილი ახლავე და
სამი კათმა არტი მოიჩინი.

კალოდა კაოტი ბლგრასუ:

კასილა. კარტი ეგერ არა აქვთ...

დარეგული. მო, ის ძველია, შე ვირო, ახალი
მოიტანე.

გახილა. რავა, გათენებამდის იქნება აი ხაპის
თამაში იაუ?

დარეგანი. არა, შენ ნუ მომიკვტები, ლექურს
ჩამოყალიბონ შენთან!

გიბარანტენ შენ ის ქენი, წალი მოიტანე კარტი და
ხაზეინიც ნახე, უთხარი რომ დროზე მოვიდეს.
(ადამიან) შენ პრიბოლი დასუფთავე რიგანათ
გესტის?

ବ୍ୟାକଗତରେ, ମେଘଶିଳେ ଫଳପାତ୍ରଙ୍କଣାରୁ (ଯେହିନ୍ଦ୍ରା ଓ କରୁଣାରୁ ଜ୍ଞାନପଦାରୁ)।

დარევანი. (სტუმრებთან ბრდიშის იხდის) უკაც-
რავთ, ბატონებო, რომ მიგატოვეთ.

უფლანი. არა უშებეს რა, ბატონი. ნიჩევო,
პროსიმ, დაბძანდით. (დიდი სიცილია).

Забо́рьja. Не беспокойтесь хозяйка, садитесь пожалуйста.

გახმ. (სწორად უმოგადებია და სკამის შეცვალა
ყველა) Будьте любезны.

დარეჭანი. (მცენრძაფებით და თავიზიანად) გმილ-
ლობთ, ბატონებო, ნუ სწუხდებით, განაკრძეო
თამაში, будите какъ у себѣ дома.

კირილი (დაწესანი) აგერ დაჯექი, ბოშო,
ნიმთან. მარტი თამიშვილი.

დარეჭვანი. (ჭირობულება) შენ გაჩუმდი გირჩევთია.
ამ დღით პატივეცმული სტუმრების ხათრი, თო-
რემ მე ვერ შენ რასაც გიზავ.

კირალე. ჩას მიზან, ბუშო, რას? გულით ქი
გინია, მარა ვერ მოკართვი.

დარეჭანი. რა მინდა, შე მასხარავ, რა?
კორილე. რა და კუნა.

ଭାର୍ତ୍ତାଙ୍କାନ୍. (ହାଣିକାରକାର୍ଯ୍ୟରେ) ଏହି ମଧ୍ୟମର୍ଗ ଉପରେ
ଲପତ ଲାଭ ଅପଦାନିବ!

ୟବେଳାନ୍ତି. (୦ଡ଼ିନୀର୍ବିନ୍ଦି) ବା, ବା, ବା, ବା, ବା, ବା!..
ପ୍ରେସରୀ. (କିମ୍ବାଇଲିଂ ଓର୍କ୍ଷେଟର୍ଜି) ବା, ବା, ବା, ବା!..

Чортъ тебя бери Кирилъ, какой ты смѣшной.

კოშკი. (გუცი სიცილით ძღვის და ჭარხარების)
Да, безъ тебя правда было-бы скучно!

დარევანი. (სიცილიო) ხა, ხა, ხა, ხა, კოცნომ!

გული დამსიებია შენთვის, შენმა სიცოცხლემ,
უყურეთ ამ უდღეობ რა თქვა ეს, კოცნა!!!...

სოლომონი. (დიდაწურად და დარბასიდურად)
Дария Кайхосровна, Вы на него не обижай-
тесь, Ему все простительно. Всё для дура-
ковъ законъ же не писанъ. (დიდი სიცოლის
შემდეგ ფრანგისტები ჰყდავ დაიწეუბენ თამაშს, დარტუქანი
ღორცოს ჩაუჭდება).

მოზენ. აბა, დარტუქან, ამოილე კოჭები შენ
რიგია.

დარტუქანი. არა, დუშა, я уже винимала.

ფაცა. რა უყოფ რომ ვინიმალა. ეს ახალი
ოჩერედია.

დარტუქანი. ნეტ, ნეტ ია უჟე ვინიმალა.

კირილ. Я тоже вынималъ одинъ разъ,
маджнаш ეხლა მახალი ოჩერედია. შენ თუ არ
გინდა, მე ამოვილებ. ამის მოლებას რა დიდი
ლარი და ხაზი უნდა! (წარწერა ხედში დატუქანს
და უნდა პარგა წაართვას).

დარტუქანი. Ты малчи, кто тебѣ спраши-
ваетъ (წაუქნეს თავში ხსნ ხედებს და ხსნ პარგა
არტუქანს, კირილე თავზე ხედებს ითარებს და უგირის).
კირილ. ნუ დახოცე, ბოშო, ნუ! ცოდვაა ეს
პარგია ცხოველები.

ელენ. ხომ არ შეიშალე სალაა ცხოველები!

კირილ. თავში, ხოშო, ძლიერ მოვაშენე.

გველანი. რაო, პარგია ცხოველებიო? ხა, ხა,
ხა, ხა!..

კოლია. (სიცოლით გაოსებული) Вотъ клоунъ
же Я Вамъ доложу.

ფაცა. არა, რეებსა პბოდავს ეს სისიცოლე
ესა!

ნანო. არა, უსათუოდ უცნაური რამჟა უნდა
სთქას ამ გადარტულება

კირილ. აბა რავა გვინიათ. ცოტა კი არ
მიშრომია მაგათ მოშენებაზე.

გველანი. იცინან, კირილეს გამიტეჭადებან ქაჯე-
ბი. კირილე წარქა უვდინს, საშინელი სიცოლი და ხმაუ-
რობაა. ამ დროს შემოდის ჟამანდილი).

(დასასრული იქნება).

გურული სცენა

ჩემი პირი უახლანის კლასი

ვა, ჩემო უბედურო თავო!.. სად ვიყავი
ამდონ ხანს მე უბედური, ყურზე მეძინა, თუ რავა
ვერ გვიგგ, რავა არ ვიცოდი, თუ ქუთასიში ფერ-
მანის კლასი იყო; უფროისი ბიჭი რომ იქინე გე-
მეზარდა, ჩემს ბედს ძალი არ დაყეფდა, მარა რა
ვიცოდი აგი რავა მეგონა, თუ მიწის თოხნას
სტავლა უნდოდა; თუ კია ერთი კაი მიწის მუშა-
ყაბაში გურიაში, მეც ქე ვარ; დღეი და ღამე გას-
წორებული მაქ, მარა არ იქნა, იმ კადი ყოველ
წელიწადს საყიდელი მაქ, ტანზე არ მაცვია და
უქხე. ახლა ქე მევედი კეუაზე, მარა, რაღაი.

ააშენა კიდომ ღმერთმა ჩენი ყაფლამე, იმან
დამაყენა გზაზე; გევიხედე, წროულს ზაფხულზე
ყანაში ვარ, იმისანა სიცხეა რომ წვენი გამდის
სულ კუდამდი; გამარჯობაო, მითხრა და მევიდა
ჩენთა. ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო ყაფლამა მეთ-
ქი. შენ უბედურო ალექსაო, მითხრა, დღე და ღა-
მე ყანაში იჩხიბი, მარა მშიერი ხარ, რაფერაა
შენი საქმეო... რაფერ იქნება ძამია, კაი მუშა
რომ ვარ ამას შენც ქე ხედავ, მარა რა ვქნა, მიწი
რომ არ მივარგა და იგიც პარგი მაქ, სილან მე-
ვიყვანო საყოფათ სარჩა მეთქი. მიწაც კაი გაქ და
ბევრიც, შენ რომ მიწა გაქ, მაგი ევროპიაში ათ
მოსახლე კიც დაარჩენსო, მითხრა. აბა მე რა ეშ-
მაკი წერევიდა, რომ მიშმილით ვკრები მეთქი...
რაიო, და მიწის მუშაობა არ იციო.

ეე! ახლა კი მომიციდა კუჭი: რას მელაპარი-
კები მაგას ყაფლანა, მიწის მუშაობა რაგა არ ვი-
ცი, ჩემს სიცოცხლეში ამას ვმუშავობ, რა დიდი
საქმე უნდა მიწის მუშაობას რომ არ ვიცოდე? ამ
თოხს რაი წლიდან უჩლარტუნებ, რა სტავლა
უნდა, ნუგეშინია, მეიქნევ თოხს და მიწას არ და-
გრილდება; იი, სისინდის ეკეალი, მოაპნიე სწო-
რათ და ჩათოხნეჭ, მიწაში, აბა ღომის თესება და
მარგლა ჩემსავით კაცმა არ იცის, იდესას დარგვა,
გაშენება ხომ ჩემი მოგონილია. აბა ბაღჩაში, მო-
ბრძონდეს და წერტოლოს ვინმე ჩემს ცოლს ძალუ-
ნიას, ისე იფრილებს თოხს წაღმა უკულმა, რომ,
გეგონება გერმანიები შემოსევია და ერიშით ეჩეუ-

— მოითმინე, ამხანაგო ილექსი, ნუ ღელაჲ,
ბებაო...

ყური მათხუე და აგიხსნი ყოლიფერსო, გავჩერდი და უყურე. მითხრა: „ყორიფელს სტავლა უნდა ალექსაო, შენ ადვილი საქმე კი გგონია მიწის მუძაბა, მარა, მაგას ცოდნა უნდა ძან ჯაიო! ჩვენ რომ ვიცოდეთ მიწის კარგათ დამუშავება, და დათოხნა, ერთ ქცევაზე კაი სამოცი გოდორი სიმინდი მოგვია, ახლა ხან თუთხეტი გორიცაი მოგლის და ხან ათიო; იმისა საჭიროა მარშინებით დევიმუშაოთ მიწები და ვიცოდეთ, რუმელ მიწაზე თა იკეთებსო...“

უი, მმავ, შენ მოცულილი ხომ არ ხარ, მარშინა კი არა მე ძულათაი ვიარები ამ ხრამებში, ათას-აურ გადამიბრუნდა კოჭი მეთქი... მარშინის გუთანი შენზე უკეთესად ივლის ხრამებშით; ამას უარდა, ვენახის მუშაობა, შენ კი ტრაბახობ, მარა რ იცი ჩემო ილექსაო. მომიყვა, ასე შობიან, ისე შობიან, დამლარს უნდა ვიაჭიო ყურადღება, მაგ ადესას ქე გაანებე აწი თავიო, შენი ცოლი ძაძუნიე, კაი მეოჯახე არის, მარა მებოსტნეობა იმან არ იცისო, ბევრი რამები მელაპარია, კარგ ბოსტანს შუუძლია მარტო არჩინოს ოჯახიო, გაყიდი პამიდორს, კაპუსტოს ფხალს, წვანილებსო, შერე ხილები რომ გელუპება, და იმის მოხმარა არ ცი, მაგი რამდენი ზარალია თუ იციო... იმდენი რამები მელაპარია, რომ გამაგიუა კაცი; მეჭიშმარიტა კიდეც ყორიფელი, ახლა ქე დევინახე, რომ ვტრაბახობი კა მუშა ვარ მეთქი, თურმე ინჩი არ მცოდნია...“

შენი კერიე დეიქუა ყაფლანა, ბიჭო რავა ამიგდე აშ ყანის მუშაობაზე გული, აწი რაფერ მიმივა ჩემი თოხით ყანაზე გული მეთქი უთხარი... არა, ჩემო ილექსაო, მითხრა, ი, ასე რაგარც გი მუშავია ჯერ ქე იმუშავე, აწი ჩვენც გავახილოთ ვალი, ჩვენც გავაუმჯობესოთ მეურნეობა და წვილებსაც ვასწავლითოთ.

— კაცო, ამ ბოლოს რავა გამუშალე ფეხი, ჟეურნობას რავა ვასწავლი შეილს, მეურმე, გოგიე მუვია იყო, მარა იგიც ჩემსავით დაღარიბებული იყო, მაგი რა მითხარი, მასხრობ, თუ გულით მეუბნები მეთქი... გადიხარხალა და მითხრა: „მეურნობა კი არა — მეურნეობა, მე რომ ჩამოგიყვეი იმას მეურნეობა ქვია, მაგალითად, ვინც მიწის მუშაობით, ყანით, ბახით, მელვინეობით, მეხილეობით, მეაბრეშუმოებით, მეფუტკრეობით, და სხვა

ამისანებით ცხოვრობს იმას მეურნე თქვია... აბა, მეც მეურნე ვყოფილვარ მეთქი... ხო შენც მეურნე ხარ, მარა, შენ უსწავლელი მეურნე ხარო, მითხრა... გენაცვალე ყაფლანა, რომ ამიხილე თვალი, მარა, აგიც მითხარი. სად არის მაგისანე კლასი, მასწავლე და ტყავი რომ ევიხადო პირზე, ჩემ ბიჭს კოსტიას წროულს იქინე გუუშობ მეთქი.

— ხო მართლა, შენმა ბიჭმა ორი კლასი ქე გაათავა წროულს, პაწა ქე წაბზადებიყ ვინმეს და ქუთაისში ფერების სასწავლებელი, სადაც, მერომ გითხარი, ყორიფელს ასწავლიან იქინეო... მაშენათე მიგაბარე ბიჭი ჩვენს მასწავლებელს — ააშენა ღმერთმა ძან მომიმზადა და ეფათ, ხუთ მანათათ თვეში. წევიყვანე და ილბლათ დავაჭერიე ეგზამენი პრიგატოვიტელში. გადასახდი კი ყოფილა ბევრი, წელიწადში ოცი თუმანი, მარა რას ვიზამდი, სიძირეა ყორიფელის, თვარა უწინ თურმე თორმეტი თუმანი იყო, კი მეძვირა, მარა, მაგიზა რავა დავაბკოლებდი საქმეს, ნახევარი — ასი მანათი ევისესხე და შევიტანე, ნახევარი ნაკალანდევს უნდა შევიტანო, მარა აფერი მიჭირს, თუთუნი კარგათ მაქ წროულს, გავყიდი და გადიხიდი, მაგი აფერია მეთქი, გადავწყვიტე გულში... ცაზე მიმისტვა ხელი სიხარულით.

ჩამოვედი შინ, ვახარე ჩემს ცოლს ძაძუნიას, ბერა გავბედნიერდით კაცი, ჩენი კოსტაი რომ წავლის გაათა ებს მერე აფერი გვიშირს, ავაყვავებთ ეზო მიღამოს მეთქი ჩამოჯლუნა იმ შეჩენებულმა წარბები, მე გუუხარდებოდა მეგონა. ამიტრიზავა, განზე გამიგდოთ თლათ: გამიხარდეს კი არა, სისულელე ჩაგვიდენია, გუუგიენ ჩვენ მეზობლებს და სასიცილოთ არ ყოფნიან, ალექსამ ბიჭი ყანის თოხის კლაში გუუშუაო, ოც თუმანს მაგიზა რას იხდიდა, თვითონ ვერ ასტავლა ყანის ჩორტნა სახლშიო.

გავცოფდი კაცი, რას მელაპარაკები ქალო, თავი არ მომაკვლიო, შენ ხარანდიას, სუნდუხტრიას და ფეფიკელას ნალაპარა გავერისარ, თვარა მე არა მეთქი. იგენმა რა ცურნე მეთქი... იგენიც ასე ჩივა და სხვებიცი... შამო მიხთა გულზე, იგენის ნალაპარაკევიზა არ მიგდია მანდა მანც ცურნი, მარა, მეც ქე მითხრეს სხვებმა: „ბერა, ალექსა, რამ გაგასულელა კაცი, ამდენი ფული უნდა გადიხადო და იგიც ყანის მუშაობის სტავლა-

ში, ამას შენც კარგათ შობიო... უუხსენი, ჩვენ რო ვიცით, იგი სტავლა არაფერია, იქინე კარგათ ასტავლიან ყორიფელს მეთქი, მარა ვინ დაგიჯერა! გუშბრიყვებისართ კაცი, იქინე იმას ასწავლიან, რაც შენ იცი, მეტს აფერს, აგრე შეგეყვანა ჩახატოურის ვიში ნაჩალის კლასში უკეთესი იყო; უფრო აფიც დაგიუდებოდა და ეზოშიაც არის აგრიო.

ქი არ შემაფიქრეს კაცი! მართლა ამიგარდა გული, ღუუფიქრე და ქე არ გადავწყვიტე ბიჭის გამოყვანა ფერვანის კლასიდან და ვიშინაჩალში მიცემა! ივდექი ერთ დილას და წეველი ქუთეისს. ეველი და უთხარი კლასის უპრავლიაიუშის, ასე ყოფილა საქმე, ასე მიჩივიან, და ბაღანე უნდა წევეგვანო მეთქინ... გუუკვირდა ძალიანი და მითხა, ტყულია მაგი, არ გაბრიყვდე, შენი თვალით ნახე, თუ რა კეთდება აქანე და დარწმუნდებიო. ბიქთანაც მივედი, უთხარი ასე ვაპირობ მეთქინ... ხომ არ გადირიეო, რა მინდა ვიშინაჩალში, იმას რომ გავათავებ, გემლაზია და უნივერსტეტი არ გამათავებით ნუგეშინია და ისე შიმშილით მოვკ ტებიო, ვიშინაჩალი კი არა, აგია ახლა საქმე, ყველას აქანე მოყავს ბაღნებიო, თუ არაფერს ვაკეთებთ, გვიყურე დღეს აგრე და ქე ნახავო...

მართლა ვთქვი: მოდი დღეს მაინც აგრე ვაჩ, ვუყურებ აგენს, დევიარ ყორიფელს და ჩემი თვალით ვნახავ, ეგება მრთლა მაბრიყვებენ მეთქი... გევიარ გამოვიარე. უწინ მარანში შეველი, ღვინოს კეთებას ვუყურე, ვნახე, მარა რა ვნახე, გონზე ვერ მოვედი, ვიხედები იქით, აქეთ, არც საწნახელი, არც ჭურები, არც ორჩხუში და არც კთა: ვკითხე, საწნახელი რომ არ გაქვენ, რაში წნებთ ყურძენს მეთქი; რაში და აგრე ამაშიო, მითხების და მიჩვენების, რაცხა საქაჯავი, ყრიდენ შით ყურძენს, ზედ დახურულ როგოსავით ფიცარს ატრიალებდენ და წურავდენ... აგი უკეთესათ წურაც ყურძენს, უფრო წმინდათო, მითხების; ჭურებში ღვინოს არ ვასხამთ, აგრე ამ ბოჭკებშიო, მიჩვენებ ბოჭკები, დიღხანს ვუყურე იქინე, მუშაობდენ ფართუკებით უჩენიკები, თავზე მასწავლებელი ადგა... გაავსეს ერთი უშველებელი ჭიქა და გადმახუცვეის შავი, ყურყუმასავით ღვინო: აგი საფერავია კახურიავო. მართლა ისე გამახურა, რომ თაკარა გამიჩინა კუჭში. მერე გვედი ქეხნაში, იქინე რაცხა წითელს ხარჩივდენ და ბითლებში ასხამდენ, აგრე ტაფებზე რაცხა აღუღებდენ:

ვუყურე, ვუყურე, მარა ვეფერი მივხდი, მერე ვიკადრე კითხვა. მითხებს: აგი პამიდორიაო, ასე გაკეთებულს პიურე ქვიაო, ბოთლებში დიღხანს ინახება, როცა გინდა იხმარ საჭმლის გასაკეთებლათო. აგენი მურაბებიაო, აგი ვაშლის მურაბა არისო, აგი ბიქსო, აგი ჟილეაო, აგი მარმალადიო. რაციცი, რამდენი სახელები მასწავლეს და მითხებს, მარა, ვის ახსოეს ნახევარი. ძან გამიკვირდა, ქათმის წელებში მურაბას ასხამდენ, მურაბის კუპატს რო აკეთებდენ. გამოვედი გარეთ ეგერ დიდი ფერი იყო, გაკეთებული იყო მწვანილების და ხილების სახმობი, ახმობდენ კომბოსტოს, მწვანილებს, ხილებს...

ვაი, დედა შენს, ძაძუნია, ვოქვი გუნებაში. თუ ჩამევედი შინ მოგვედები ძრუეზე. შენ რომ არც მურაბების გაკეთება იცი, არც პიურეს, არც ხილის გახმობა და აფერი, ასე ქე მამადლი დიდ გულს... აგენი ყველა ქალის საქმეა. აქანე ბიჭები სტაელობენ მშვერიერათ, ჩევენში ციცებმაც არ იციან. ჩევედი ბაღში, რას ნახავს უკეთესს თვალი: ყვაილები, მშვერიერი ხეები, გმინათლდა გული. ჩევედი ბოსტამში—გაღვირეთ კაცი, სულ არ გავდა ჩემი ძაძუნიეს გაკეთებულ ბოსტანს: საფსე პამიდორები, უშველებენ უშველებენი, აგრე პატრიუანები, კომბოსტოები, კარტოფილები, კოხხახუშები, რა ვიცი, რომდენი რა არ იყო; ერ ვენახის ნერგები, ყორიფელს ასწავლიან თურმე იქინე: ყურძნის მოყვანას, აბრუშუმიბას, მეფუტკრობას, მებოსტნეობას, მეღვინეობას, მებაღეობას, აი მანდარინებიო, დაფნის ნერგებიო, ხეხილებიო, რა ვიცი, ყოლიფერი იქინე ყოფილია. კინაღმა არ დევილუბე კაცი? რავა გამომყავდა ბაღანე ტყულათაი. მოდი და ღუუჯერე ახლა ნალაპარიკს კაცმა... ვიში ნაჩალში ასი ბაღანე რომ მყავდეს, ერთს არ შევიყვან, ყველას აქანე შევიყვან თუ ვიცოცხლე.

ლუკაის იბოლი.





ჩიგორგალი. თქვენ იწერებით:

„მასა ეშმაკი გენაციალება,
მომიყიდა წერის მადა“ - და ...

ბეღნიერი კაცი ყოფილხართ, ვინაიდან ეს ერთად-ერთი „მადაა“, რომლის დაკმაყოფილებაც შეიძლება „ოჩერედში“ ჩაუდგომლათ.

ხინკაძეს. თქვენი „ლექსი პროზათ“ ამ სიტყვებით თავდება:

„ვასიკოშ თავისი ტუშები ანიჭოს ტუშებში
ჩახსაფლავს“ - და.

საზოგადოთ „საფლავების ხანა“ ვვიდგას. მოგვხსენებათ, ლაშის მოელი ქვეყანა სასაფლაოთ გა-

დაიქცეს. ჩვენმა რედაქტორმაც თქვენი წერილი სარედაქტიო კალათაში ჩაასაფლავა.

ოცნებაძეს. „წელში გრუნავ თვბზიფითა
და ხელფეხზე თაგვირც ქრიზ...“


ალფავიტში რომ ერთი ნიშანი ჩაგეცვალათ პირდაპირ იდეალს მიაღწევდით. ვშიშობთ კორექტურული შეცომა არ იყოს, ვინაიდან „ხელეთზე მოცურავე ქორი“ ვერ წარმოუდგენია ჩვენს ოცნებას.

კოშკის ძალების. ეს თქვენი ლექსი პირველია ჩვენს რედაქტიაში. წინანდელების დაუბეჭდაობას ტყვილათ გვისაყველურებთ.

„მე ის „გმარი“ ვერ შიჩიჭდებს და უკრძალებ
ხახვის ვერ დამატიროს“ - და.

სწერთ ლექსის ბოლოში. სრული სიმართლეა. ხახვი ახლანდელ დროში არც ისე ხელწამოსაქრავი სანოვავეა, რომ ყველა ყურებზე სთალო და სჭრა.

ხონის „სახელა“



ჩვენს რედაქციას შემთხვევით ჩაუგარდა ნელში ეს აშენათი სურააი. ჟერ კარგათ არ ვიცით, ჟის კადაში ეკუთვნის იგი, ან რაც გამოხატავს მისი მოხაზულობა.

აშბობენ, თოქო, აქ იყოს გამოხატული ხაში ხონელი ცილისიშვიტებული, რომელთაც სამსეფროს წინაშე განაცხადეს თ-ვისი დანაშაული და ამით დაიმსახურეს სასჯელის პატივზაო.

ჩვენი რედაქცია აპირონს ეს სურათი ხელოვანთა ხაზოგადოების გადახცე; განხასილებით.